



თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 2  
31/01/2020

2-09-4-202001311911



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №07 დადგენილებაში  
„თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა  
საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის  
თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4  
პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18  
იანვრის №07 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ  
სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“  
(www.matsne.gov.ge, 29/01/2018, 010250050.35.163.016385).

- დადგენილებას დაემატოს **მუხლი 7<sup>1</sup>** შემდეგი რედაქციით:  
„**მუხლი 7<sup>1</sup>.** დამტკიცდეს „საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის  
ოქმი“-ს ფორმა დანართი №8-ის შესაბამისად“.
- დადგენილების დანართი №8 ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

**მუხლი 2.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

თელავის მუნიციპალიტეტის მერია

საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №

ნაწილი I.

ბ.ა.

1. შედგენის ადგილი: \_\_\_\_\_ 2. შედგენის თარიღი: \_\_\_\_\_

(რიცხვი, თვე, წელი)

3. ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი:

4. სამართალდამრღვევის მონაცემები:

ფიზიკური პირი (პირადი №, სახელი, გვარი, მისამართი)

იურიდიული პირი (დასახელება, მისამართი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი)

5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი:

6. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის \_\_\_\_\_ მუხლის \_\_\_\_\_ ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას \_\_\_\_\_ ლარის ოდენობით.

7. მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, პირადი მონაცემები:

8. ოქმს ერთვის სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

(ახსნა-განმარტების არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა)

მიმღები მოლარე: \_\_\_\_\_

(ხელმოწერა, თარიღი) (საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი)

სამართალდამრღვევის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

ოქმის შემდგენლის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

მოწმის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

აღნიშვნა სამართალდამრღვევის მიერ ხელმოწერაზე ან ქვითარის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ: \_\_\_\_\_

საჯარიმო ქვითარის ყუა №

ნაწილი II.

(ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში)

1. \_\_\_\_\_

(გადამხდელის სახელი და გვარი/დასახელება)

2. \_\_\_\_\_

(გადამხდელის მისამართი)

3. \_\_\_\_\_

(გადამხდელის პირადი №/საიდენტიფიკაციო №)

4. \_\_\_\_\_

(ჯარიმის ოდენობა)

5. \_\_\_\_\_

(ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი, ნაწილი)

6. \_\_\_\_\_

(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი)

7. \_\_\_\_\_

(საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი)

8. მიმღები მოლარე: \_\_\_\_\_

(ხელმოწერა)

9. შემომტანი: \_\_\_\_\_

(ხელმოწერა)

ბ.ა.

თარიღი: \_\_\_\_\_

(რიცხვი, თვე, წელი)

საჯარიმო ქვითარის ყუა ივსება საბანკო

დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

საჯარიმო ქვიტორის (ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები:

„ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს სახელმწიფო ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ არის შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.“

მოქალაქეს მიეცა განმარტება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის შესაბამისი დადგენილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში ამავე კოდექსის 273-ე მუხლის შესაბამისად.


ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სფს-ს რეგისტრაციის №

დამკვეთი: თელავის მუნიციპალიტეტის მერია

დამამზადებელი:

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო